



შპს საქართველოს ბიზნესის აკადემია - SBA

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა

ბუღალტრული აღრიცხვა

თბილისი

2018 წელი

წინასიტყვაობა

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა მომზადებულია სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის ვებ-გვერდზე 2018 წლის 5 თებერვლის მონაცემებით არსებული „ბუღალტრული აღრიცხვის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი - მარიამ ფიცხელაური

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავება განპირობებულია საქართველოს შრომის ბაზრის კვლევის შედეგების, ბოლო წლებში ქვეყანაში ყველაზე მოთხოვნადი და დეფიციტური პროფესიების ანალიზის საფუძველზე. პროგრამის შემუშავების ინიციატივა განხილული და მოწონებულია საქართველოს ბიზნესის აკადემიის-SBA-ის სენატის მიერ. (22.01.2018, ოქმი N02; 21.02.2018, ოქმი N03)

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის პერიოდული შემოწმება წარმოებს ხარისხის მართვის სამსახურის მიერ, რომელიც არ აღემატება 12 თვეს.

პროგრამა მოწონებულია შპს „საქართველოს ბიზნესის აკადემია-SBA“-ის ხარისხის მართვის სამსახურის მიერ 2018 წლის 19 თებერვალს.

პროგრამა დამტკიცებულია საქართველოს ბიზნესის აკადემია-SBA-ის რექტორის მოვალეობის შემსრულებლის 2018 წლის 2 მარტის N018 ბრძანებით.

პროგრამაში ცვლილებების შესულია საქართველოს ბიზნესის აკადემია-SBA-ის რექტორის მოვალეობის შემსრულებლის 2018 წლის 15 მარტის N025 ბრძანებით.

პროგრამა შეთანხმებულია სასწავლო საწარმოსთან - შპს „ბიზნეს ადმინისტრირების მხარდაჭერის ცენტრი“

პროფესიულსაგანმანათლებლო

1. სახელწოდება - ბუღალტრული აღრიცხვა
2. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის სარეგისტრაციო ნომერი, რომლის საფუძველზეც შეიქმნა პროგრამა - 04114-3
3. პროფესიული სპეციალიზაცია/სპეციალიზაციები და მისანიჭებელი კვალიფიკაცია/კვალიფიკაციები - მეხუთე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია ბუღალტრულ აღრიცხვაში - Fifth level vocational qualification in Accounting

4. მიზანი

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის მიზანია, მოამზადოს და შრომის ბაზარს შესთავაზოს კვალიფიციური ბუღალტერი, რომელიც შეძლებს მონაწილეობის მიღებას სამეწარმეო, არასამეწარმეო, სახელმწიფო ორგანიზაციის/დაწესებულების ან პირის სააღრიცხვო პოლიტიკის დაგეგმვაში, ორგანიზებასა და წარმართვაში; ფინანსური, ბუღალტრული ანგარიშებისა და ჩანაწერების შემოწმებასა და ანალიზს, რათა უზრუნველყოს მათი შესაბამისობა დადგენილ კანონმდებლობასა და სტანდარტებთან; განხორციელებს ბუღალტრულ გატარებებს; შეადგენს და დადგენილი წესით წარადგენს საგადასახადო დეკლარაციებს; უზრუნველყოფს საგადასახადო ვალდებულებების გადარიცხვას სახელმწიფო ბიუჯეტში; ასევე შეძლებს ფინანსურ ანგარიშგების, პირველად სააღრიცხვო და სხვადასხვა სახის ფინანსურ დოკუმენტაციის შედგენას გარე და შიდა მომხმარებლებისათვის.

5. დაშვების წინაპირობა/წინაპირობები - სრული ზოგადი განათლება

6. კურსდამთავრებულთა კარიერული შესაძლებლობები

ბუღალტრულ აღრიცხვაში მეხუთე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაციის მქონე პირი შესაძლოა დასაქმდეს კერძო და საჯარო უწყებებში, არასამთავრობო ორგანიზაციებში საბუღალტრო და საფინანსო სამსახურებში, აუდიტორულ და საკონსულტაციო კომპანიებში მთავარ ბუღალტრად, ბუღალტრის თანაშემწედ/ასისტენტად, ბუღალტერ-მოანგარიშედ. შესაძლებელია თვითდასაქმებაც, კერძო პროფესიული პრაქტიკის განხორციელების გზით.

7. სტრუქტურა და მოდულები

ბუღალტრული აღრიცხვის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის მოცულობა ქართულენოვანი სტუდენტებისათვის არის 99 კრედიტი. აქედან, ზოგადი მოდულების ჯამური კრედიტების რაოდენობაა 11, სპეციალიზაციის პროფესიული/დარგობრივი მოდულების - 88 კრედიტი. პროგრამის სავარაუდო ხანგრძლივობაა 19 თვე.

ბუღალტრული აღრიცხვის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის მოცულობა არაქართულენოვანი სტუდენტებისათვის არის 129 კრედიტი. აქედან, ზოგადი მოდულების ჯამური კრედიტების რაოდენობაა 41, სპეციალიზაციის პროფესიული/დარგობრივი მოდულების - 88 კრედიტი. პროგრამის სავარაუდო ხანგრძლივობაა 25 თვე.

ზოგადიმოდულები			
№	მოდულის დასახელება	მოდულზე დაშვების წინაპირობა	კრედიტი
1	ინგლისური ენა	საბაზო განათლება	5
2	მეწარმეობა 3	სრული ზოგადი განათლება	3
3	ინფორმაციული წიგნიერება 2	სრული ზოგადი განათლება	3
სულ			11
სპეციალიზაციის პროფესიული/დარგობრივი მოდულები			
№	მოდულის დასახელება	მოდულზე დაშვების წინაპირობა	კრედიტი
1	ბუღალტრული აღრიცხვის საფუძვლები	სრული ზოგადი განათლება	7
2	ძირითადი პირველადი სააღრიცხვო დოკუმენტების წარმოება	სრული ზოგადი განათლება	3
3	სააღრიცხვო მონაცემთა ბაზის შექმნა	მოდული: ბუღალტრული აღრიცხვის საფუძვლები	9
4	კომპიუტერულ საბუღალტრო პროგრამაში მუშაობა	სრული ზოგადი განათლება	5
5	საგადასახადო დეკლარირება	სრული ზოგადი განათლება	4
6	სახელმწიფო ბიუჯეტის მიმართ ვალდებულებები	სრული ზოგადი განათლება	4
7	ინვენტარიზაცია	სრული ზოგადი განათლება	2
8	ფინანსური ანგარიშგების შედგენა	მოდული: კომპიუტერულ საბუღალტრო პროგრამაში მუშაობა	8
9	ბუღალტრული აღრიცხვის წარმოება ეკონომიკური საქმიანობის სახეობის მიხედვით	მოდული: სააღრიცხვო მონაცემთა ბაზის შექმნა	12
10	მმართველობითი აღრიცხვა	სრული ზოგადი განათლება	8
11	Ms Excel	მოდული: ინფორმაციული წიგნიერება 2	6
12	ბიზნეს ინგლისური	სრული ზოგადი განათლება	5
13	აუდიტის საფუძვლები	სრული ზოგადი განათლება	2
14	ეკონომიკური ანალიზი	სრული ზოგადი განათლება	5
15	გაცნობითი პრაქტიკა - ბუღალტრული აღრიცხვა	სრული ზოგადი განათლება	2
16	პრაქტიკული პროექტი - ფინანსური და საგადასახადო ანგარიშგების მომზადება	სრული ზოგადი განათლება	6
სულ			88

8. მისანიჭებელი კვალიფიკაციის/კვალიფიკაციების შესაბამისი სწავლის შედეგები:

- შეიმუშაოს სააღრიცხვო პოლიტიკა;
- შეავსოს და არგუმენტირება გაუკეთოს სამუშაო ფორმებს (სააღრიცხვო დოკუმენტები);
- აწარმოოს ბუღალტრული ოპერაციები;
- შეავსოს და გააგზავნოს დეკლარაციები;
- მოამზადოს ფინანსური ანგარიშგება;
- აწარმოოს ბუღალტრული აღრიცხვა ეკონომიკური საქმიანობის ზოგიერთი სახეობის მიხედვით;
- აწარმოოს კონტროლი სამეურნეო სუბიექტის საბუღალტრო აღრიცხვაზე;
- აწარმოოს მმართველობითი აღრიცხვა;
- შეასრულოს ეკონომიკური ანალიზი.

9. სწავლის შედეგების მიღწევის დადასტურება და კრედიტის მინიჭება

ბუღალტრული აღრიცხვის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა ხორციელდება ორი მიდგომით:

1. სწავლება სრულად მიმდინარეობს შპს „საქართველოს ბიზნესის აკადემია-SBA“-ში
2. სწავლება მიმდინარეობს, როგორც შპს „საქართველოს ბიზნესის აკადემია-SBA“-ში, ისე სასწავლო საწარმოში (დუალური მიდგომა).

1. შპს „საქართველოს ბიზნესის აკადემია-SBA“-ში კრედიტის მინიჭება ხორციელდება სწავლის შედეგის მიღწევის დადასტურების საფუძველზე. სწავლის შედეგის მიღწევის დადასტურება შესაძლებელია:

- ა) წინმსწრები ფორმალური განათლების ფარგლებში მიღწეული სწავლის შედეგების აღიარებით (ჩათვლა);
- ბ) არაფორმალური განათლების გზით მიღწეული სწავლის შედეგების აღიარება განათლების და მეცნიერების მინისტრის მიერ დადგენილი წესით;
- გ) სწავლის შედეგების დადასტურება შეფასების გზით.

სწავლის შედეგების დადასტურების შეფასებისთვის არსებობს განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასება.

განმავითარებელი შეფასება შესაძლოა განხორციელდეს როგორც ქულების, ასევე ჩათვლის პრინციპების გამოყენებით.

განმსაზღვრელი შეფასება ითვალისწინებს მხოლოდ ჩათვლის პრინციპებზე დაფუძნებული (კომპეტენციების დადასტურებაზე დაფუძნებული) სისტემის გამოყენებას და უშვებს შემდეგი ორი ტიპის შეფასებას:

- ა) სწავლის შედეგი დადასტურდა;
- ბ) სწავლის შედეგი ვერ დადასტურდა.

განმსაზღვრელი შეფასებისას უარყოფითი შედეგის მიღების ან შეფასებაზე გამოუცხადებლობის შემთხვევაში, პროფესიულ სტუდენტს უფლება აქვს სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ პერიოდში მოითხოვოს განმეორებით გასვლა სწავლის შედეგების დასადასტურებლად. შეფასების მეთოდი/მეთოდები მოცემულია მოდულებში.

2. სასწავლო საწარმოში სწავლის შედეგების მიღწევა ხდება შუალედური და საკვალიფიკაციო გამოცდების ჩაბარების გზით.

შპს „საქართველოს ბიზნესის აკადემია-SBA“-ში პროფესიული სტუდენტის სწავლის შედეგების მიღწევის შეფასების პროცესი გაწერილია აკადემიის „პროფესიული სტუდენტის მიღწევების შეფასების წესში.“

10. პროფესიული კვალიფიკაციის მინიჭება

პროფესიული კვალიფიკაციის მოსაპოვებლად პროფესიულმა სტუდენტმა უნდა დააგროვოს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში განსაზღვრული მოდულებით გათვალისწინებული კრედიტები.

დუალური მიდგომით სწავლების ბოლოს პროფესიული სტუდენტი საკვალიფიკაციო კომისიასთან აბარებს საკვალიფიკაციო გამოცდას, აკადემიის მიერ დადგენილი წესით.

11. სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების (სსსმ) და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე (შშმ) პროფესიული სტუდენტების სწავლებისათვის

შეზღუდული შესაძლებლობისა და სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირთა პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში ჩართულობის უზრუნველყოფის მიზნით, ასეთი პირები მოდულებზე დაიშვებიან მოდულის წინაპირობის/წინაპირობების დამლევის გარეშე. პროფესიული

საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული კრედიტები პირს ენიჭება მხოლოდ შესაბამისი სწავლის შედეგების დადასტურების შემთხვევაში, ხოლო კვალიფიკაცია - მე-10 პუნქტით გათვალისწინებული წესით.

12. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების სამართლებრივი საფუძვლები

- საქართველოს კანონი - „პროფესიული განათლების შესახებ“
- ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩო
- ბუღალტრული აღრიცხვის ჩარჩო დოკუმენტი

13. ქართული ენის კომპეტენციის დადასტურება

პირს ქართული ენის კომპეტენცია უდასტურდება ქვემოთ ჩამოთვლილთაგან ერთ-ერთი მტკიცებულების წარმოდგენის საფუძველზე:

- თუ პირს წინმსწრები განათლება მიღებული აქვს ქართულ ენაზე და წარმოადგენს აღნიშნულის დამადასტურებელ დოკუმენტს;
- თუ პირმა გაიარა ქართული ენის მოსამზადებელი პროგრამა და წარმოადგენს აღნიშნული პროგრამის დასრულების დამადასტურებელ დოკუმენტს;
- თუ პირმა აკადემიის მიერ დადგენილი წესით წარმატებით გაიარა საქართველოს ბიზნესის აკადემია - SBA-ის მიერ ჩატარებული ქართული ენის სასერტიფიკატო გამოცდა და წარმოადგენს დამადასტურებელ სერტიფიკატს.

პირებს, რომლებსაც არ უდასტურდებათ ქართული ენის კომპეტენცია „მოდულების - ქართული ენა A2 და ქართული ენა B1 გავლა სავალდებულოა. აღნიშნული პირებისათვის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლება იწყება ქართული ენის მოდულებით.“

დანართები:

1. დანართი 1 - მოდული ინგლისური ენა 0230102
2. დანართი 2 - მოდული მეწარმეობა 3 0410005
3. დანართი 3 - მოდული ინფორმაციული წიგნიერება 2 0610004
4. დანართი 4 - მოდული ბუღალტრული აღრიცხვის საფუძვლები 411404
5. დანართი 5 - მოდული ძირითადი პირველადი სააღრიცხვო დოკუმენტების წარმოება 411405
6. დანართი 6 - მოდული სააღრიცხვო მონაცემთა ბაზის შექმნა 411413
7. დანართი 7 - მოდული კომპიუტერულ საბუღალტრო პროგრამაში მუშაობა 411410
8. დანართი 8 - მოდული საგადასახადო დეკლარირება 411414
9. დანართი 9 - მოდული სახელმწიფო ბიუჯეტის მიმართ ვალდებულებები 411415
10. დანართი 10 - მოდული ინვენტარიზაცია 411409
11. დანართი 11 - მოდული ფინანსური ანგარიშგების შედგენა 411407
12. დანართი 12 - მოდული ბუღალტრული აღრიცხვის წარმოება ეკონომიკური საქმიანობის სახეობის მიხედვით 0411403
13. დანართი 13 - მოდული მმართველობითი აღრიცხვა 411411
14. დანართი 14 - მოდული Ms Excel 0410705
15. დანართი 15 - მოდული ბიზნეს ინგლისური 0411402
16. დანართი 16 - მოდული აუდიტის საფუძვლები 0411401
17. დანართი 17 - მოდული ეკონომიკური ანალიზი 411406
18. დანართი 18 - მოდული გაცნობითი პრაქტიკა - ბუღალტრული აღრიცხვა 411408
19. დანართი 19 - მოდული პრაქტიკული პროექტი - ფინანსური და საგადასახადო ანგარიშგების მომზადება 411412
20. დანართი 20 - მოდული ქართული ენა A2 0110001
21. დანართი 21 - მოდული ქართული ენა B1 0110002
22. დანართი 22 - სასწავლო გეგმა
23. დანართი 23 - ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელი ადამიანური რესურსის შესახებ